

სახაზინო სამსახურის

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს 2018 წლის იანვარ-დეკემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2018 წლის იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 12 693 422.2 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 10 595 649.4 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 101 005.4 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 119 150.3 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით 1 877 617.1 ათასი ლარი.

2018 წლის იანვარ-დეკემბერში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (10 595 649.4 ათასი ლარი) შეადგინა წლიური საპროგნოზო მოცულობის (10 463 098.0 ათასი ლარი) 101.3%; მათ შორის:

გადასახადების წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 9 690 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულია 9 695 962.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 100.1%; მათ შორის:

„გადასახადები შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“ საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 3 580 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 3 614 519.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 101%-ია; მათ შორის:

„საშემოსავლო გადასახადის“ წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 840 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 2 877 895.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 101.3%;

„მოგების გადასახადის“ სახით მიღებული შემოსავლების მოცულობამ (736 624.4 ათასი ლარი) შეადგინა წლიური საპროგნოზო მოცულობის (740 000.0 ათასი ლარი) 99.5%;

გადასახადებმა ქონებაზე შეადგინა 16.3 ათასი ლარი.

„გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე“ წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 5 870 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 5 892 636.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 100.4%-ია; მათ შორის:

„დამატებული ღირებულების გადასახადის“ წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 4 430 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 4 426 909.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 99.9%;

„აქციზის“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 1 465 726.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 440 000.0 ათასი ლარი) 101.8%-ია;

„გადასახადები საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე“ (იმპორტის გადასახადი) წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 70 000.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 73 416.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 104.9%-ია.

„სხვა გადასახადების“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა იანვარ-დეკემბერში შეადგინა

115 373.1 ათასი ლარი. გადასახადების მობილიზება ხდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე, ერთიან სახაზინო კოდზე და შემდგომში გადასახადი სახეების მიხედვით ნაწილდება ფაქტიურად დეკლარირებულ ვალდებულებებზე, ქრონოლოგიური წესით, კუთვნილი სავადო თარიღის მიხედვით.

გრანტების წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 338 098.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებულია 404 014.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 119.5%–ია; მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული 117 961.6 ათასი ლარი;

– საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 137 680.1 ათასი ლარი;

– „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 თავის, 34-ე მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშზე განთავსებული თავისუფალი ნაშთის ნაწილი – 64 611.2 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტში;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 16 319.6 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში;

– „სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №419 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 67 442.2 ათასი ლარი (მათ შორის, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული 1 848.8 ათასი ლარი).

„სხვა შემოსავლების“ წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 435 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 495 672.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 113.9%. მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა 10 002.4 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტში აისახა ზემოთ მითითებული ბრძანების შესაბამისად.

2018 წლის იანვარ-დეკემბერში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (101 005.4 ათასი ლარი) შეადგინა საპროგნოზო მოცულობის (100 000.0 ათასი ლარი) 101%;

მათ შორის:

– შემოსულობებმა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან (80 364.4 ათასი ლარი) შეადგინა წლიური საპროგნოზო მოცულობის (81 000.0 ათასი ლარი) 99.2%;

– შემოსულობებმა მატერიალური მარაგების გაყიდვიდან შეადგინა 10.2 ათასი ლარი;

– არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან მიღებულმა შემოსულობებმა (20 630.8 ათასი ლარი) შეადგინა წლიური საპროგნოზო მოცულობის (19 000.0 ათასი ლარი) 108.6%; მათ შორის:

მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის წლიურმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 7 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 8 340.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 119.1%;

რადიოსიხშირული სპექტრით ლიცენზიის სარგებლობით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 12 290.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (12 000.0 ათასი ლარი) 102.4%.

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 119 150.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის (100 000.0 ათასი ლარი) 119.2%-ია. %–ია. მათ შორის:

– შემოსულობები სესხებიდან – 94 131.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (90 000.0 ათასი ლარი) 104.6%;

– აქციები და სხვა კაპიტალი - 25 013.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (10 000.0 ათასი ლარი) 250.1%-ია;

– სხვა დებიტორული დავალიანების სახით ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩაირიცხა – 4.8 ათასი ლარი.

„ვალდებულებების ზრდით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 1 877 617.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის 1 804 770.0 ათასი ლარი) 104 %-ია; მათ შორის:

- საშინაო ვალდებულებების ზრდით ფაქტიურად მიღებული იქნა – 422 310.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (425 000.0 ათასი ლარი) 99.4%-ია;

- საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 1 455 306.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მოცულობის (1 379 770.0 ათასი ლარი) 105.5%-ია; მათ შორის:

- საინვესტიციო გრძელვადიანი შეღავათიანი კრედიტები - 996 881.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (924 770.0 ათასი ლარი) 107.8%-ია; მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 456 071.8 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 540 809.3 ათასი ლარი.

- საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები – 458 425.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (455 000.0 ათასი ლარი) 100.8%-ია.

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 531 244.8 ათასი ლარი, რომელიც ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის

განმახორციელებლების მიერ, ხარჯების გაწევის შესაბამისად, ხდება კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით ბიუჯეტის შემოსულობებში მიმართვა.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის №835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2018 წლის იანვარ-დეკემბერში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში, ასახული იქნა წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები, სულ 2 614.1 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2018 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 557 972.5 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 557 888.7 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო პროექტების დასაფინანსებლად – 83.8 ათასი ლარი („დაცული ტერიტორიების განვითარება“ გრანტი).

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2019 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 661 213.0 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 660 588.9 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 624.1 ათასი ლარი.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-მუხლის, მე-8 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №176-ე განკარგულების და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-მუხლის, მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის №29-ე განკარგულების თანახმად, სულ 135 002.0 ათასი ლარი, სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსდა კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 22 ივნისის №301-ე დადგენილების „სახელმწიფო ხაზინის განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრების განთავსების წესის დამტკიცების შესახებ“, თანახმად, ხაზინის განკარგულებაში არსებული სახსრებიდან, 650 000.0 ათასი ლარი განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (დაგროვება) შეადგინა 103 240.5 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2018 წლის იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 10 595 649.4 ათასი ლარის მოცულობით (წლიური გეგმა 10 463 098.0 ათასი ლარი); ხარჯებმა შეადგინა 9 543 712.7 ათასი ლარი (წლიური გეგმა 9 526 424.9 ათასი ლარი); საოპერაციო სალდომ შეადგინა 1 051 936.7 ათასი ლარი, წლიური გეგმა 936 673.1 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა 1 811 165.9 ათასი ლარი. მათ შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით 101 005.4 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდით - 1 912 171.3 ათასი ლარი.

2018 წლის იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ შეადგინა -759 229.1 (უარყოფითი) ათასი ლარი, წლიური გეგმა -803 437.9 ათასი ლარი (უარყოფითი).

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2018 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2017 წლის 28 დეკემბრის #481 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2018 წლის წლიური გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 12 491 100.0 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 11 428 232.0 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები 1 062 868.0 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულებები რეგისტრირებული იყო 12 606 483.2 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 12 590 181.6 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა 11 448 533.6 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა 1 141 648.0 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 99.9%-ს, ხოლო გეგმის 100.8%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2018 წლის იანვარ-დეკემბრის მთლიან ხარჯებში შეადგინა 90.9%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 9.1%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის №738 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია

ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2018 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 1 408 298.0 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 1 410 324.3 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 407 624.2 ლარი, რაც ვალდებულების 99.8%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 100%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2018 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 1 272 723.7 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 1 293 795.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 288 263.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.6%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 101.2%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2018 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 513 044.6 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 513 043.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 513 043.8 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების 100%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 268 671.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (268 671.5 ათასი ლარი) 100%-ია;

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 244 372.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (244 372.3 ათასი ლარი) 100%-ს შეადგენს;

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2018 წლის გეგმამ შეადგინა 408 201.4 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 421 283.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ 419 453.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.6%-ს და გეგმის 102.8%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან შეღავათიანი აგროკრედიტების დასაფინანსებლად 2018 წლის გეგმით განისაზღვრა 60 160.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 60 160.0 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების (60 160.0 ათასი ლარი) 100%-ია.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2018 წლის გეგმამ შეადგინა 1 335 798.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 331 957.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 332 080.3 ათასი ლარი) 100% და საგეგმო მაჩვენებლის 99.7%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2018 წლის იანვარ-დეკემბერში ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს ტრანსფერების სახით გადაერიცხათ 1 241 708.1 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (1 241 720.5 ათასი ლარი) 100%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2018 წლის იანვარ-დეკემბერში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 3 501 326.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (3 502 081.4 ათასი ლარი) და საგეგმო პარამეტრის (3 502 089.1 ათასი ლარი) 100%-ია.

აღნიშნული მუხლიდან, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბის #2489 განკარგულების „დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით ზოგიერთი ღონისძიების განხორციელების შესახებ“ თანახმად, 79 601.7 ათასი ლარი განთავსდა ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე.

მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2018 წლის გეგმა განისაზღვრა 2 425 728.1 ათასი ლარით, გადახდამ შეადგინა 2 425 596.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 100%-ია. მათ შორის: საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 1 716 705.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 716 705.1 ათასი ლარი) და გეგმის 100%-ია; მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმით განისაზღვრა 641 319.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 641 309.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 100% და ვალდებულების (641 309.1 ათასი ლარი) 100%-ია; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად წლიური გეგმით განისაზღვრა 937 948.1 ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 937 622.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.96% და ვალდებულების (938 196.5 ათასი ლარი) 99.93%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2018 წლის გეგმა განისაზღვრა 1 086 269.3 ათასი ლარით, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 1 083 005.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 082 044.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.9%-ს და გეგმის 99.6%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად წლიური გეგმით განისაზღვრა 594 527.2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 594 500.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 100% და ვალდებულების (594 509.7 ათასი ლარი) 100%-ია.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2018 წლის გეგმით განისაზღვრა 1 840 111.0 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 1 916 179.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 1 912 171.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.8%-ს და გეგმის 103.9%-ს შეადგენს. მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 992 620.6 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 1 053 826.8 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (1 052 647.9 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 99.9% და საგეგმო მაჩვენებლის – 106%.

„ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“, 2018 წლის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 371 364.8 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 381 490.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 381 098.4 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 99.9%-ს და გეგმის 102.6%-ს შეადგენს.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2018 წლის გეგმით განისაზღვრა 753 199.3 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 753 199.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 753 199.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის 100%-ს შეადგენს. მათ შორის:

- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 35 082.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (35 082.0 ათასი ლარი) 100%-ია;

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 718 117.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (718 117.3 ათასი ლარი) 100%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ, რომელთა

ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, მ.შ. ინფორმაცია თანხების შესახებ, რომელთა ათვისება პროექტის განმახორციელებლების მიერ ხდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად (პირდაპირი ჩარიცხვები).

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა, მომავალში მისაღები (ოვერდრაფტის) გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა 6 637.2 ათასი ლარი. მათ შორის:

- „ქუთაისის წყალარინების პროექტი“ – 35.1 ათასი ლარი;
- „წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი“ – 6 602.2 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2018 წლის იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 11 455 883.9 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 2 250 450.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (2 262 510.7 ათასი ლარი) 99.5%–ია. აღნიშნულ ხარჯებში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 364 220.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (373 707.9 ათასი ლარი) 97.5% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 16.2%–ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსების – 518 017.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (518 021.5 ათასი ლარი) 100% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 23%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2018 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 717 753.6 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 724 298.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 100.9%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის (11 455 883.9 ათასი ლარი) 6.3%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2018 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 1 176 245.3 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 173 469.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99.8%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10.2%; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 641 461.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (639 885.5 ათასი ლარი) 100.2%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (126 321.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (129 305.8 ათასი ლარი) 97.7%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 137 645.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (137 779.9 ათასი ლარი) 99.9%–ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2018 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 1 715 100.1 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 775 871.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 103.5%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა

(60 918.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (61 296.0 ათასი ლარი) 99.4%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (198 234.4 ათასი ლარი), გეგმის (198 472.9 ათასი ლარი) 99.9% შეადგინა; ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულ იყო 1 176 444.4 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 242 126.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 105.6%.

გარემოს დაცვის ხაზით 2018 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 64 630.2 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 59 554.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 92.1%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2018 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო 32 502.6 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 25 357.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 78%. მათ შორის, წყალმომარაგების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 6 445.3 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 5 998.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 93.1%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2018 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 1 117 625.9 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 141 617.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 102.1%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 9.7%; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებული იყო 804 728.6 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (804 691.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 100%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (176 536.5 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (158 156.7 ათასი ლარი) 111.6%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 49 072.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (49 163.4 ათასი ლარი) 99.8%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 350 342.9 ათასი ლარით, რაც 2018 წლის გეგმიური მაჩვენებლის (341 763.7 ათასი ლარი) 102.5%-ს შეადგენს. ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 54 056.4 ათასი ლარი გამოყოფა, საკასო ხარჯმა (54 123.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 100.1%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად წლიური გეგმით გათვალისწინებული იყო 1 239 044.8 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 255 940.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 101.4% და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 11%; აღნიშნულ ხარჯებში ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა – 606 455.6 ათასი ლარი, რომელიც გეგმის (606 518.6 ათასი ლარი) 100%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსებამ – 175 775.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (168 041.5 ათასი ლარი) 104.6%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით წლიური გეგმით განსაზღვრულია იყო 2 699 358.8 ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 2 698 981.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 100%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 23.6%. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 1 746 159.8 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 1 746 159.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 100%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 655 384.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (655 545.0 ათასი ლარი) 100%-ია.

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ასოცდასამ შემთხვევაში შეადგინა სულ 4 956.5 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 4 857.1 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგინა 99.3 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოთხმოცდაცხრა შემთხვევაში შეადგინა სულ 62 795.5 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 61 518.1 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2019 წლის 1 იანვრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 1 277.4 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ცხრამეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 307 322.2 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 306 471.3 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2019 წლის 1 იანვრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 851.0 ათასი ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ხუთ შემთხვევაში შეადგინა სულ 19 128.9 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 13 189.4 ათასი ლარი.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2019 წლის 1 იანვრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 5 939.5 ათასი ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა წლებში წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებების დასაფარად გამოყოფილი იქნა 21 062.8 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 47 493.0 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად განისაზღვრა 14 841.0 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 14 838.8 ათასი ლარი, („საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის“ სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა - 14 838.8 ათასი ლარი), წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 10 000.0 ათასი ლარი. აქედან: საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს გამოეყო 568.7 ათასი ლარი (საკასო ხარჯი - 568.7 ათასი ლარი); საქართველოს იუსტიციის სამინისტროს - 176.0 ათასი ლარი (საკასო ხარჯი - 176.0 ათასი ლარი); თავდაცვის სამინისტროს 229.6 ათასი ლარი (საკასო ხარჯი - 229.6 ათასი ლარი); ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერებისთვის გამოიყო 232.6 ათასი ლარი (საკასო ხარჯი - 232.6 ათასი ლარი), ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანების დასაფარად საინკასო დავალებით ჩამოჭრილი თანხების ასანაზღაურებლად გეგმამ შეადგინა 5 014.9 ათასი ლარი (საკასო ხარჯი - 5 011.7 ათასი ლარი).

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დასაფარად საკასო ხარჯმა შეადგინა 26 435.7 ათასი ლარი, მათ შორის, მიზნობრივი გრანტის ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა - 1 386.1 ათასი ლარი.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში, წინა წლების დავალიანებების დასაფარავად გაწეულ ხარჯებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში ერთვის დანართის სახით.

„წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ

რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა 5 011.7 ათასი ლარი, რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდზე.

2018 წლის იანვარ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.